№414 2016 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

„ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად მამუკა ბახტაძის საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ეფექტური და თანმიმდევრული შესრულების მიზნით, ახალი აბრეშუმის გზის საკითხებში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნოს სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად მამუკა ბახტაძეს მიენიჭოს საქართველოს სახელით „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტის ფარგლებში ოფიციალური კომუნიკაციის წარმოების უფლება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**